შეჯიბრებითობა

შეჯიბრებითობა სასამართლოში საქმისწარმოების მთავარი პრინციპია. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, სასამართლოს ეკრძალება მხარისათვის სასარგებლო მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება და თავისი ინიციატივით გამოკვლევა. სასამართლო არ ერევა თქვენი პოზიციის ჩამოყალიბებაში, იგი მხოლოდ თქვენ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტებს აფასებს.

მეორე მხრივ, სასამართლო ვალდებულია, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

შესაბამისად, საქმის შედეგი დამოკიდებულია თქვენს კომპეტენტურობასა და მომზადებაზე, თქვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების მნიშვნელობასა და საქმესთან შემხებლობაზე.

საქმის განხილვაში თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს თქვენ გარეშე და შესაძლებელია - თქვენ საზიანოდ.

გახსოვდეთ ეს პრინციპი და მომზადებული მობრძანდით სასამართლო პროცესზე!

სასამართლოში ქცევის წესები:

იმისთვის, რომ სასამართლოში იყოს წესრიგი და უსაფრთხოება, მოგეთხოვებათ შემდეგი წესების დაცვა:

- სასამართლოში გამოცხადებისას აუცილებელია იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გაიარეთ მეტალო-დეტექტორზე შემოწმება. ამას თქვენი და სხვა მოქალაქეების უსაფრთხოება მოითხოვს;
- ნუ დააგვიანებთ სასამართლო პროცესზე, დაწყებულ პროცესზე დაგვიანებით შესვლა დაუშვებელია;
- სასამართლო პროცესის მსვლელობისას გამორთეთ მობილური ტელეფონი;
- სასამართლოს ტერიტორიაზე გეკრძალებათ ვიდეო და ფოტოგადაღება;
- პროცესის აუდიოჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის ნებართვით;
- პროცესზე დაიცავით სიჩუმე და დაემორჩილეთ მოსამართლის განკარგულებებს, შეასრულეთ მანდატურის მითითებები;
- ნებისმიერი პრობლემის არსებობისას დახმარებისთვის მიმართეთ მანდატურს.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, მოსამართლეს უფლება აქვს დაგაჯარიმოთ, სხდომის დარბაზიდან გაგაძევოთ ან თქვენ მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პატიმრობა.

სასამართლოსთვის მიმართვა საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა!

სასამართლო უზრუნველყოფს კანონის წინაშე თქვენს თანასწორობას!

გაიგე უფრო მეტი შენი წარმომადგენლობისთვის

სასამართლოში...

სასამართლო

საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. სასამართლო სისტემა სამსაფეხურიანია და შედგება პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებისგან. სამივე ინსტანციის სასამართლო განიხილავს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს. სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ერთიანი წესები მოქმედებს.

სასამართლოს მისაღები

მოქალაქესა და სასამართლოს შორის ურთიერთობა იწყება სასამართლოს მისაღებიდან. სასამართლოს მისაღები გიწევთ კოორდინაციას, გაწვდით ინფორმაციას, იბარებს განცხადება-სარჩელებს და პასუხობს მოქალაქეთა შეკითხვებს. უმრავლესი სასამართლოს მისაღებში მოქმედებს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა, რომელიც სარჩელს ანიჭებს სპეციალურ კოდს, რისი საშუალებითაც შეძლებთ სახლიდან გაუსვლელად მიიღოთ დეტალური ინფორმაცია საქმის განხილვის ნებისმიერი ეტაპის შესახებ და გაეცნოთ გადაწყვეტილებების ელექტრონულ ვერსიებს. სასამართლოს მიმართეთ მხოლოდ კანონით დადგენილ სამუშაო დღეებში, დადგენილი სამუშაო საათების გათვალისწინებით.

სარჩელი, განცხადება, საჩივარი

სასამართლოში სარჩელი შეიტანება სპეციალური ფორმის მეშვეობით, რომელიც გიადვილებთ მის ჩამოყალიბებასა და შევსებას, რაც ამცირებს ხარვეზის რისკს. სასამართლო ფორმები შეგიძლიათ გადმოწეროთ სასამართლოების ვებ-გვერდებიდან (www.supremecourt.ge, www.hcoj.gov.ge), ასევე, მიიღოთ სასამართლოს მისაღებში. იმისათვის, რომ თქვენს განცხადება-საჩივარს მოჰყვეს დროული რეაგირება, აუცილებელია მასში მიეთითოს ადრესატი (მაგალითად, მოსამართლე ან სასამართლოს სხვა მოხელე) და თქვენი კოორდინატები, საჭიროა ტელეფონის ნომრის მითითება.

სასამართლოსათვის მიმართვის წესი

სარჩელი უნდა ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიას, სადაც ხდება მისი რეგისტრაცია. თუ სარჩელში არსებობს ხარვეზი, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი სარჩელს რეგისტრაციაში არ გაატარებს, მიგითითებთ ხარვეზზე და გაძლევთ მისი გამოსწორების რეკომენდაციას. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ კვლავ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელება, შესაბამისად, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ადვოკატს, სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იურიდიულ მომსახურებას ეწევა. თქვენი სარჩელის/განცხადების ჩაბარების შემდეგ კანცელარიის თანამშრომელი გაძლევთ ე.წ. „სარეგისტრაციო ბარათს", სადაც მითითებულია ჩამბარებელი პირი, რეგისტრაციის ნომერი და სასამართლოს ტელეფონის ნომერი.

მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერი, გადაიღონ საქმის მასალების ქსეროასლები.

ინფორმაცია საქმის შესახებ

სასამართლოს მისაღებიდან/კანცელარიიდან საქმე გადაეცემა მოსამართლეს, რომელმაც უნდა განიხილოს თქვენი სარჩელი ან განცხადება. სარჩელის ჩაბარებიდან მეორე დღეს შეგიძლიათ დარეკოთ თქვენს „სარეგისტრაციო ბარათზე" მითითებულ ნომერზე ან სასამართლოს საინფორმაციო ხაზზე და სასამართლოს თანამშრომელი შეგატყობინებთ, თუ რომელ მოსამართლეს დაეწერა თქვენი საქმე. მოსამართლესთან ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლესთან სხვაგვარი კომუნიკაცია აკრძალულია და ისჯება კანონით.

საქმესთან დაკავშირებით შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მოსამართლის თანაშემწეს, რომლის კოორდინატებიც მითითებულია სასამართლოს მიერ გამოგზავნილ უწყებაში, გზავნილში, სასამართლოს ვებ-გვერდსა და სასამართლოს მისაღებში, სპეციალურ დაფაზე.